# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-908

20/09/2019

ქ. თბილისი

**მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქანდის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ ქანდის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქანდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფ/პ არჩილ თალაკვაძის საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე. GPS კოორდინატები: X-467756.27; Y-4638706.31; აღნიშნული ტერიტორია წარმოდგენილია ვაკე რელიეფით და მდებარეობს მდ. ქსნის მარცხენა ჭალისზედა I ტერასაზე, ზღვის დონიდან 520-530 მეტრზე.

ჰიდროლოგიური მონაცემებით სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების ქართლის არტერიულ აუზს. ჭაბურღილის საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. წყალაღების ჰორიზონტის ზუსტი დებიტი უცნობია, მაგრამ წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, შესაძლებელია წელიწადში 182 500 $მ^3$ რაოდენობის წყლის მოპოვება. ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმეა 15 მ. მოპოვებული წყლის გამოყენება მოხდება სამეწარმეო დანიშნულებით.

წყალშემცველი ჰორიზონტი გეოლოგიურად აგებულია დაუნაწილებელი მეოთხეული ალუვიური ნალექების კომპლექსით, სადაც დამახასიათებელია ჰიდროკარბონატულ-სულფატური, კალციუმ-მაგნიუმიანი და კალციუმიან-ნატრიუმიანი წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,0 გ/ლ-მდე. წყლის ტემპერატურა 13-14 °C-ია, სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ჭაბურღილის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. სალიცენზიო ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური პირობები სტაბილურია, ჭაბურღილის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ტერიტორია არ ხვდება დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ჭაბურღილის ექსპლუატაციისას ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება იქნება მინიმალური.

სკრინინგის განცხადების მიხედვით დგინდება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქანდის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების საფუძველზე</u>

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქანდის მიმდებარე ტერიტორიაზე მისწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი